

კოვიდ 19-ის პანდემიასთან დაკავშირებული სტრესი და გამკლავების სტრატეგიები
სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში

თამარ ნაჭყებია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ნაჭყებია

22.01.2021

მადლობა

მადლობას ვუხდის ხელმძღვანელს, პროფესორ ხათუნა დოლიძეს, მხარდაჭერის, ყურადღების, ღირებული და მნიშვნელოვანი უკუკავშირის, რეკომენდაციებისა დარჩევებისთვის.

ასევე გამოვხატავ მადლიერებას ქ. ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის #2 საჯარო სკოლის დირექტორის ქალბატონ ნინო ბულიასა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ კვლევაში მხარდაჭერისა და მონაწილეობისათვის.

აბსტრაქტი

სტრესი ადამიანის ცხოვრების თანმდევი მოვლენაა და უმეტესად ცვლილებებს უკავშირდება. კოვიდ-19-ის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა, 2 მილიონამდე კი შეიწირა, უცხოეთში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ პანდემიისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების შედეგად სტრესისა და ფსიქიკური აშლილობების მატებას მოსახლეობაში, მათ შორის ბავშვებსა და მოზარდებში.

კვლევა მიზნად ისახავს, განსაზღვროს ერთი მხრივ კოვიდ 19 პანდემიის და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების გავლენა სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდების კეთილდღეობაზე და მეორე მხრივ, ამ მოვლენებით გამოწვეული სტრესის დონე და მასთან გასამკლავებლად გამოყენებული ძირითადი სტრატეგიები..

2020 წლის 9-20 დეკემბერს ონლაინ გამოიკითხა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მ. კოსტავას სახელობის N2 საჯარო სკოლის 7-17 წლის ასაკის 150 მოსწავლე და 150 მშობელი. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. კეთილდღეობის და მწვავე სტრესის საზომად გამოვიყენეთ კინდლის (KINDLR). მწვავე სტრესის (მწვავე სტრესის სიმპტომები/Acute Stress Symptoms (ASS) და გამკლავების (გამკლავების კითხვარი ბავშვებისთვის/Children's coping questionnaire (CCQ): კითხვარები.

დადგინდა, რომ კვლევის სამიზნე ბავშვებისა და მოზარდების პასუხებით მათი ემოციური კეთილდღეობისა (48,56) და თვითშეფასების (59,86) ქულა საგრძნობლად დაბალია. კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში ბავშვებისა და მოზარდების 41,3% -ის აზრით მათი განწყობა გაუარესდა. სასწავლო აქტივობის გაუარესებაზე მიუთითა მშობლების 54,7%-მა და მოსწავლეების 42%-მა. კოვიდ 19-ის პანდემიასთან დაკავშირებული პოტენციური სტრესორებიდან გამოკითხულებს ყველაზე მეტად აღელვებთ სწორედ სკოლის, განათლების საკითხები (33,3% - ბავშვების პასუხები, 34,0% - მშობლების პასუხები), და სხვა შეზღუდვები (22,7% - ბავშვების პასუხები, 26,0 - მშობლების პასუხები), ვიდრე ჯანმრთელობის მდგომარეობა (25,3%-ბავშვების

პასუხები,, 16.0% - მშობლების პასუხები), მოსწავლეთა 84.6%, ხოლო მშობლების 69,3% აღნიშნავს, რომ ბავშვსა და მოზარდებს გასული თვის განმავლობაში ჰქონდათ სტრესის მინიმუმ ერთი სიმპტომი. მათთან გასამკლავებლად მონაწილეთა მიერ ყველაზე ხშირად გამოიყენება: ქცევები, რომლებიც ადაპტაციურ სტრატეგიებს ახასიათებთ: კოგნიტური შეფასება. განრიდება, მიღება/შეგუება პრობლემის გადაჭრა, ყურადღების გადატანა. კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა, რომ კოვიდ 19 მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების ხარისხზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოვიდ 19- პანდემიის ფსიქოლოგიური ზიანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის თვალსაჩინო იქნება, თუ კოვიდ 19-თან ბრძოლაში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ღონისძიებები დროულად არ ჩაერთო.

Abstract

The stress is an ensuing part of a human life and in most cases it's connected to the changes. Millions of lives have been affected and almost 2 million deaths have been caused by Covid-19 pandemic. The research done in many other countries confirms that there has been a surge in stress and physical disorder among the population including children and teens.

This research, on one hand, aims to determine the influence of Covid-19 pandemic and limitations on schoolchildren and teens' lives and on the other hand, aims to depict a stress level and the main strategies that are being used to handle that stress.

150 schoolchildren aged from 7 to 17 of N2 public school named after M. Kostava in municipality of Zugdidi and 150 parents participated in a poll conducted through quantitative techniques and, specifically, using KINDLr, Acute Stress Symptoms (ASS) and Children's coping questionnaires (CCQ) as instrument.

It was assumed that according to the responses of children belonging to a research focus group, their emotional well-being- and self-esteem scores (48,56 and 59,86) are significantly low. 41,3% of children and teens consider that their moods have been affected by pandemic. 54,7 % of parents and 42 % of schoolchildren emphasize that efficiency of learning activities have been reduced. Among Covid-19 stressors, most of respondents are concerned about school and

educational matters (33,3% of children and 34,0% of parents) and other limitations (22,7 of children and 26,0 of parents) rather than health conditions (25,3% of children and 16,0 % of parents). 84,6 % of children and 69,3 % of parents claim that children and teens had at least one symptom of stress in the last month. Participants mostly use some behaviours of adaptive strategies in order to handle those symptoms, for instance: Cognitive appraisal, avoidance, acceptance/adaptation, solving a problem, distraction. The results of research illustrates that Covid-19 considerably influences children's and teens' lives. It can be presumed that in the case of children and teens the psychological damage caused by Covid-19 will be plain unless psychological support activities are involved in the fight against Covid -19 in proper time.